ხელშეკრულება № 35/5-2

ქ. თბილისი „19" „დეკემბერი" 2011წ.

ერთი მხრივ, ს.ს.ი.პ. "ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" გენერალურ დირექტორს ნატო ავალიანს (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორე მხრივ, შ.პ.ს. "ჯორჯიან ექსპრესი" საერთაშორისო საკურიერო სამსახური "**DHL**-ის" ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში დირექტორის მალხაზ პაპელაშვილი (შემდგომში „მიმწოდებელი"), შორის.

1. ხელშეკრულების საფუძველი

1.1. "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი (მუხლი 3, პუნქტი1 „ს" ქვეპუნქტი).
1.2. "ავადობის საერთაშორისო კლასიფიკატორის მე-10 გადახედვის მე-2 და მე-3 ტომების შესწორების თარგმანი და ადაპტირება" საერთაშორისო პროექტის დაფინანსება. (SPV 64100000)

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ს.ს.ი.პ. "ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" მიერ განსახორციელებელი "ავადობის საერთაშორისო კლასიფიკატორის მე-10 გადახედვის მე-2 და მე-3 ტომების შესწორების თარგმანი და ადაპტირება" საერთაშორისო პროექტის ფარგლებში უზრუნველყოფა დოკუმენტების და ტვირთების ექსპრეს-გადაზიდვების მომსახურებით.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 "DHL"-ის მომსახურეობის ღირებულების განსაზღვრა ხდება მომსახურების საფასურს მიწოდების პირობების (დანართი №1) და DHL-ის სატარიფო ცნობარით დადგენილი ფასებით (დანართი №2).
3.2 "DHL"-ის მიერ ტარიფების შეცვლის შემთხვევაში საკითხი გადაწყდება მხარეების მიერ დამატებით მოლაპარაკებით.
3.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა არაუმეტეს 100 (ასი) ლარი.

4. ხელშეკრულების ობიექტი

4.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი: დოკუმენტების და ტვირთების ექსპრეს-გადაზიდვების მომსახურება. საერთაშორისო მცირე და საშუალო ტვირთების საავიაციო გადაზიდვა და სწრაფი ჩაბარება მითითებულ მისამართზე. "ტვირთის გამგზავნის" სახით DHL-ის მომსახურების შეკვეთისას «შემსყიდველი" საკუთარი და ტვირთის მიწოდებაში დაინტერესებული ნებისმიერი სხვა პირთა სახელით აცხადებს თანხმობას, რომ წინამდებარე პირობები მოქმედებენ DHL-ის მიერ ტვირთის მიღების მომენტიდან, თუ DHL-ის უფლებამოსილი თანამდებობრივი პირის მიერ არ არის გათვალისწინებული წერილობითი სახით სხვა პირობა. წინამდებარე ხელშეკრულება არ არღვევს "შემსყიდველის" კანონიერ უფლებებს კონკრეტულ მომსახურებასთან მიმართებაში (რომლის მიმართ განხორციელდა დამატებითი გადახდა).

"ტვირთი" ნიშნავს ყველა დოკუმენტს ან ბანდეროლს, რომლის გადაზიდვა ხორციელდება ერთი ავიაზედნადებით, ამასთანავე DHL-ის მიერ შეიძლება იქნას არჩეული მისთვის ნებისმიერი მოსახერხებელი და ხელმისაწვდომი გადაზიდვის სახე, საავიაციო, საავტომობილო და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ჩათვლით. "ავიაზედნადები" ნიშნავს DHL-ის ავტომატიზირებული სისტემების მიერ დამზადებულ ნებისმიერ იარლიყს, ავია- ან სატრანსპორტი ზედნადებს, რომელიც შეიცავს წინამდებარე პირობების ტექსტს. ნებისმიერი ტვირთის გადაზიდვა ხორციელდება შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპის საფუძველზე, წინამდებარე დოკუმენტის დებულებათა შესაბამისად. თუ ტვირთის გამგზავნს ესაჭიროება უსაფრთხოების უფრო სერიოზული გარანტია, ამ შემთხვევაში დამატებითი საფასურის გადახდით შეიძლება განხორციელდეს ტვირთის დაზღვევა (დამატებითი ცნობები მოყვანილია ქვემოთ). DHL ნიშნავს **DHL Worldwide Express Network**-ის ექსპრეს-გადაზიდვების ქსელის ნებისმიერ მონაწილეს.

ტვირთი მიიწოდება ტვირთის მიმღების მისამართზე, მითითებულს ტვირთის მიმწოდებლის მიერ (საფოსტო მომსახურების შემთხვევაში – პირველი საფოსტო ცენტრის მისამართზე), მაგრამ აუცილებლობას არ წარმოადგენს პირადად ტვირთის მიმღებს. ტვირთების მიღების ცენტრალურ ზონაში დამისამართებული ტვირთის მიწოდება ხორციელდება სწორედ ამ ზონაში. იმ შემთხვევაში თუ ტვირთის მიმღები უარს განაცხადებს ტვირთის მიწოდებაზე ან მიწოდების გადახდაზე, ტვირთის დაუშვებლობაზე, მის არასაკმარის საბაჟო ღირებულებაზე, ტვირთის მიმღების მოძებნის ან იდენტიფიკაციის შეუძლებლობაზე, მიიღებს ყველა მასზე დამოკიდებულ ზომებს, რომ დაუბრუნოს ტვირთი ტვირთის მიმწოდებელს ამ უკანასკნელის ხარჯზე; წინააღმდეგ შემთხვევაში ტვირთი შედის -ის განკარგულებაში და DHL-ის შეხედულებისამებრ შეიძლება მოხდეს მისი

რეალიზაცია ტვირთის გამგზავნის და ნებისმიერ პირების წინაშე რაიმე პასუხისმგებლობის გარეშე; რეალიზაციისაგან მიღებული ფულადი სახსრები მომსახურების ღირებულების და შესაბამისი ადმინისტრაციული ხარჯების გამოქვითვით დაუბრუნდება ტვირთის გამგზავნს.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1 სახელშეკრულებო ურთიერთობები DHL-ის და ტვირთის გამგზავნის შორის ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად DHL-ის პასუხისმგებლობა ერთმნიშვნელოვნად შემოიფარგლება უშუალო ზარალით და მე-6 კარის თანახმად არ შეიძლება აღემატებოდეს ტვირთის ზღვრულ მნიშვნელობებს წონის კილოგრამზე/გირვანქაზე გამოანგარიშებით. DHL არ აანაზღაურებს ზარალის ან ზიანის ნებისმიერ სხვა სახეობას (გარდა სხვა ყველაფრისა გაშვებული სარგებლის, საპროცენტო შემოსავლის და საქმიანი პერსპექტივის ჩათვლით), იმის დამოუკიდებლად არის თუ არა აღნიშნული ზარალი ან ზიანი განსაკუთრებული ან არაპირდაპირი, იმ შემთხვევაშიც კი თუ DHL შეატყობინეს ამგვარი ზარალის ან ზიანის წარმოქმნის რისკის შესახებ როგორც ტვირთის მიღებამდე ასევე მისი მიღების შემდეგ, რადგან ტვირთის გამგზავნი უფლებამოსილია განახორციელოს განსაკუთრებული რისკების დაზღვევა. თუ ტვირთის გადაზიდვა ხორციელდება კომბინირებული ხერხით, საავიაციო, საავტომობილო და სხვა სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით, იგულისხმევა, რომ ნებისმიერ ზარალს ან ზიანს ადგილი ჰქონდა ტვირთის საავიაციო ტრასპორტით გადაზიდვისას, თუ სხვა რამ არ იქნება დამტკიცებული. DHL-ის პასუხისმგებლობა ნებისმიერი ცალკეულად აღებული ტვირთის მიმართებაში (მე-7-11 კარების დებულებებზე დამოუკიდებლად), შემოიფარგლება ფაქტიური ღირებულებით და არ შეიძლება არემატებოდეს 100 აშშ დოლარის უმეტესი თანხისა ან:

- თანხისა, გამოთვლილს 20,00 აშშ დოლარი კილოგრამზე ან 9,07 აშშ დოლარი ერთ გირვანქაზე ტვირთის წონის გამოანგარიშებით, რომლის გადაზიდვა ხდება საავიაციო ან ნებიმიერი სხვა სახის ტრანსპორტით, გარდა საავტომობილო ტრანსპორტისა, ან
- თანხისა, გამოთვლილს 10,00 აშშ დოლარი კილოგრამზე ან 4,54 აშშ დოლარი ერთ გირვანქაზე ტვირთის წონის გამოანგარიშებით საავტომობილო ტრანსპორტით (არ გამოიყენება აშშ-ში).

თითოეული ტვირთზე არ შეიძლება განაცხადდეს ერთ პრეტენზიაზე მეტი, ამასთანავე წარმოებული ანგარიშსწორება მიიჩნევა ნებისმიერი მიყენებული ზიანის და ზარალის ანაზღაურების სრულ და საბოლოო ანგარიშსწორებად. თუ ტვირთის გამგზავნი აღნიშნულ ზღვრული თანხების გადახდას ჩათვლის არასაკმარისად, ის ცალკე აცხადებს ტვირთის ფასს და მისი დაზღვევის საჭიროების შესახებ მე-8 კარის დებულებათა შესაბამისად (ტვირთების დაზღვევა), ან აზღვევს ტვირთს დამოუკიდებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა რისკი, დაკავშირებული ტვირთზე ზარალის და ზიანის მიყენებასთან გადადის ტვირთის გამგზავნზე.

5.2 "DHL" მიიღებს მასზე დამოკიდებულ ყველა ზომებს ტვირთის გადასაზიდად "DHL"-ის რეგულარული განრიგის შესაბამისად **(იხ. დანართი №2)**. მაგრამ აღნიშნული არ წარმოადგენს გარანტიას და წინამდებარე კონტრაქტის ნაწილს. "DHL" არ აგებს რაიმე პასუხისმგებლობას ნებისმიერი სახის ზიანზე ან ზარალზე, გამოწვეულს მიწოდების დაყოვნებით.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადები

6.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება "შემსყიდველის" მოთხოვნის შესაბამისად დადგენილ და შეთანხმებულ ვადებში;

6.2 "მომსახურების" გაწევის საერთო ვადაა 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7. ანგარიშსწორების წესი, ფორმა და ვადები

7.1 DHL განახორციელებს ტვირთების გადაზიდვის საფასურის ანგარიშსწორებას ტვირთის ფაქტიური ან მოცულობითი წონის უმეტესი მნიშვნელობიდან გამომდინარე, თანაც ნებისმიერი ტვირთი გამოთვლის სისწორის დადასტურების მიზნით შეიძლება დაექვემდებაროს DHL-ის მიერ განმეორებით აწონვას და აზომვას. DHL-ის მიერ წარდგენილი მომსახურების ფარგლებში, ტვირთის მიმწოდებელი აუნაზღაურებს ან იხდის DHL-ის სასარგებლოდ ტვირთების გადაზიდვის და მათი შენახვის საფასურის ბაჟს და მოსაკრებლებს, ან ხარჯებს, რომლებიც გამოვეულია DHL-ის დაზარალებით ტვირთის მიმღების, ტვირთის მიმწოდებლის ან მესამე პირების მხრიდან, ასევე აუნაზღაურებს ყველა პრეტენზიას, ზარალს, ზიანს და ჯარიმას იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე დოკუმენტის მე-2 კარის დადგენილებათა შესაბამისად დადგენილია ტვირთის დაუშვებლობა გადაზიდვის განსახორციელებლად.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

7.3 "შემსყიდველი" ანგარიშსწორებას ახდენს "მომწოდებლის" მიერ შესაბამისი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ დადგენილი წესით.

7.4 ანგარიშსწორების ფორმაა – უნაღდო ანგარიშსწორება.

8. მხარეთა ვალდებულებები და უფლება-მოვალეობები

8.1 "შემსყიდველი" ვალდებულია:

8.1.1 აცნობოს "მიმწოდებელს" ყველა მომხდარ ცვლილებათა შესახებ, რომელიც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების პირობებს;
8.1.2 "შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას დროულად აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" გაწეული მომსახურების ღირებულება უნაღდო ანგარიშსწორებით "მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ტარიფების შესაბამისად;
8.1.3 საქართველოს და მიმღები ქვეყნის საბაჟო კანონმდებლობით წარუდგინოს "**DHL**-ს" ტვირთის საბაჟო გაფორმებისათვის აუცილებელი ყველა დოკუმენტი, რომელიც შეიძლება მოითხოვოს საქართველოსა და მიმღები ქვეყნის საბაჟო ორგანოებმა, ტვირთი არის გადასაზიდად დაუშვებელი იმ შემთხვევაში თუ:

- ის განეკუთვნება სახიფათო მასალების ან ტვირთების კატეგორიას და ასა-ს (ავიატრანსპორტის საერთაშორისო ასოციაცია), სასო-ს (სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციია), ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოს ან სხვა კომპეტენტური ორგანიზაციების მხრიდან მასთან მიმართებაში მოქმედებს აკრძალვა ან შეზღუდვა;
- მასზე არ არსებობს საბაჟო დეკლარაცია, რომლის ჰქონა გათვალისწინებულია შესაბამისი საბაჟო წესებით, ან
- DHL მიიჩნებს რომ ვერ უზრუნველყოფს ტვირთის გადაზიდვის უსაფრთხოებას და კანონიერებას (გარდა სხვა ყველაფრისა ცხოველების, ოქრო-ვერცხლის ზოდებში, ვალიუტის, წარმდგენის ბრუნვადი ფინანსური დოკუმენტების, ძვირფასი ლითონების და ქვების, ცეცხლსასროლი იარაღის, მისი ნაწილების, აღჭურვილობის და სამრძოლო მასალების, ადამიანის ნეშთის, პორნოგრაფიული სახის მასალების, ასევე აკრძალული ნარკოტიკების/მედიკამენტების ჩათვლით).

8.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია:
8.2.1 დოკუმენტაციის სწრაფი ჩაბარება მითითებულ მისამართზე მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.
8.2.3 განახორციელოს გზავნილების მიღება "DHL"-ის კურიერის უფასო გამოძახებით "შემსყიდველის" ოფისში ტელეფონის საშუალებით (ტ. **69-60-60; 69-99-66**), წინასწარ შეთანხმებულ პირთან და შეთანხმებულ მისამართზე. კურიერის გამოძახება გზავნილების ასაღებად უნდა მოხდეს დღის განმავლობაში არაუგვიანეს 18^{00} საათისა, ხოლო შეტყობინება გამოძახებაზე კეთდება მინიმუმ 1 საათით ადრე.
8.2.4 განახორციელოს:
8.2.4.1 გზავნილების მიღება სამუშაო დღეებში დილის 09.30-დან 18.00-მდე. შაბათს გზავნილების მიღება 09.30-დან 15.00-მდე.
8.2.4.2 "DHL"-ის სტანდარტით გათვალისწინებული შესაფუთი საშუალებებით უზრუნველყოფა.
8.2.4.3 ინფორმაციის მიწოდება გზავნილების შესახებ მისი გადაადგილების მთელ მარშრუტზე (www.dhl.com).
8.2.4.4 "შემსყიდველისათვის" ინფორმაციის მიწოდება საბაჟოზე მისი ტვირთების შეყოვნების შესახებ.
8.2.5 დაიცვას "შემსყიდველის" უფლებები საქართველოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2.6 აცნობოს "შემსყიდველს" ყველა იმ ცვლილებათა შესახებ, რაც პირდაპირ ან ირიბად ეხება ხელშეკრულებას;
8.2.7 დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულებანი.
8.3 "შემსყიდველი" უფლებამოსილია:
8.3.1 მოითხოვოს "მიმწოდებლისაგან" ხელშეკრულების ყველა პუნქტის უცილობელი შესრულება;
8.3.2 უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ "მიმწოდებელი" დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან მის წინაშე დადგება დაუძლეველი ძალა;
8.3.3 "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს;
8.3.4 არ სცნოს "მიმწოდებლის" არცერთი ვალდებულება, რომელიც არაა განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით;
8.3.5 "შემსყიდველს" უფლება აქვს შეამოწმოს გაწეული მომსახურების ხარისხი და შესრულების ვადები და, თუ "მიმწოდებელი" არასათანადოდ ასრულებს ხელშეკრულების პირობებს, მოითხოვოს ხელშეკრულების გაუქმება გაწეული მომსახურების ანაზღაურების გარეშე.
8.3.6 ყველა პრეტენზია "DHL"-თან მიმართებაში ცხადდება წერილობით ფორმაში, "DHL"-ის მიერ ტვირთის ჩაბარების დღესვე თუ საქმე ეხება გარეგნულად შესამჩნევ დანაკარგებსა და დაზიანებებს, ხოლო გარეგნულად შეუმჩნეველი დანაკარგებისა და დაზიანებების შემთხვევაში –

"DHL"-ის მიერ ტვირთის ჩაბარებიდან არა უგვიანესს 7 (შვიდი) დღისა; წინააღმდეგ შემთხვევაში "DHL" არ აგებს პრეტენზიებზე არავითარი სახის პასუხისმგებლობას.
8.4 "მიმწოდებელი" უფლებამოსილია:
8.4.1 მოითხოვოს "შემსყიდველისაგან" მის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების დროული და სრული ანაზღაურება;
8.4.2 განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან მის გაგრძელებაზე, თუ "შემსყიდველის" მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო მისთვის შეუძლებელი ხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდება ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა;
8.4.3 აწარმოოს მოლაპარაკება "შემსყიდველთან" სახელშეკრულებო პირობებში კანონით დაშვებული ცვლილებების შეტანისათვის;
8.4.4 მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს "შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო;
8.4.5 მოითხოვოს "შემსყიდველისაგან" რეალური ზარალის ანაზღაურება, რაც გამოიწვია მისი მხრიდან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევამ;
8.4.6 ტვირთის გამგზავნის სახელით მისთვის გასაწევი მომსახურების ფარგლებში განახორციელოს შემდეგი სახის საქმიანობა: (1) გააფორმოს ნებისმიერი დოკუმენტი, შეიტანოს ცვლილებები პროდუქციის და მომსახურების კოდირებაში, მოქმედი კანონმდებლობის და ნორმატიული წესების შესაბამისად გადაიხადოს გადასახდელი ბაჟი და გადასახადი; (2) საბაჟო ოპერაციების ჩატარების და ექსპორტის კონტროლის განხორციელების მიზნით წარმოადგინოს ტვირთის მიმღები ექსპედიტორის სახით, საბაჟო ბროკერის დანიშვნის მიზნით გამოვიდეს ტვირთის მიმღების სახელით ტვირთის საბაჟო წმენდის და საბაჟო დეკლარაციის შესავსებად, ასევე -ის ნებისმიერი უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე გადაუგზავნოს საბაჟო წმენდის ტვირთის მიმღების ბროკერს ტვირთი ამა თუ იმ მისამართზე.
8.4.7 უფლებამოსილია განახორციელოს ტვირთების გახსნა და ინსპექტირება ტვირთის გამგზავნისათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე.
8.4.8 მოითხოვოს ჯარიმის გადახდა, ყოველ გადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით. იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური ოდენობა შეადგენს გადასახდელი თანხის 10 %-ს DHL-ს უფლებას იტოვებს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს „შემყოდველ" ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან.

9. ხელშეკრულების სხვა პირობები

9.1 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი შესწორებით და ფორმდება ხელშეკრულების დანამატის სახით.
9.2 "მიმწოდებელს" არ აქვს უფლება "შემსყიდველის" წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის უფლებების გადაცემა.
9.3 ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შემთხვევაში მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს და ღებულობენ ერთობლივ გადაწყვეტილებას.
9.4 წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება იქნას შეტანილი ცვლილებები და დამატებები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები შეთანხმებულია, ხელმოწერილია და გაფორმებულია წერილობითი სახით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

10.1 "შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, "მიმწოდებლისათვის" ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
10.1.1 თუ "მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან "შემსყიდველის" მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მომსახურების გაწევა;
10.1.2 თუ "მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება, რომელიც ცვლის პირობებს რის გამოც ვერ განხორციელდება მომსახურების გაწევა სრულად ან დადგენილ ვადებში.
10.1.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.2 "შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, მისი მოქმედების დაწყებამდე:
10.2.1 თუ ხელშეკრულების შესრულების გაგრძელება მიზანშეუწონელია "შემსყიდველის" ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე;
10.2.2 თუ "შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
10.2.3 "მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში.

10.3 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში "შემსყიდველი" ვალდებულია აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" უკვე ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

11. დაუძლეველი ძალის მოქმედება

11.1 მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარეთა პასუხისმგებლობას საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველი გარემოებათა შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული "შემსყიდველისა" და/ან "მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და მას გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას მიწისძვრათ, ციკლონით, ქარიშხალით, წყალდიდობით, ნისლით, ფორს-მაჟორულ გარემოებები, კერძოდ, სამხედრო მოქმედებები, საჰაერო ხომალდის კატასტროფა ან ემბარგო; ნებისმიერი დეფექტი ან მახასიათებლები განპირობებულნი ტვირთის სახეობიდან გამომდინარე, რომელთა შესახებ "DHL"–ს თუნდაც მიეღოს შეტყობინებები; ამბოხი ან მასობრივი არეულობები; ნებისმიერი მოქმედება ან უმოქმედობა იმ პირებისა, რომლებიც არ არიან "DHL"-ის თანამშრომლები; გაფიცვები, ელექტრული ან მაგნიტური ველების ნეგატიური ზემოქმედება ელექტრონულ ან ფოტოგრაფიულ გამოსახულებებზე, მონაცემებზე ან მათ წაშლაზე.

საბრძოლო მოქმედებებით, წყალდიდობით, ეპიდემიით

11.3 დაუძლეველი გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარეებმა, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება აღწერილობით გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობათა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი გარემოებების ზეგავლენისაგან.

11.4 დაუძლეველი ძალის არსებობა უნდა იყოს დადასტურებული ოფიციალური ორგანოების მიერ, პრესის ან სხვა მხარეებისათვის მისაღები სახით.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 "შემსყიდველმა" და "მიმწოდებელმა" უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის, ყველა უთანხმოება და დავა წარმოქმნილი, ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების წესით.

12.2 ნებისმიერი დავა, წარმოქმნილი ან დაკავშირებული წინამდებარე პირობებთან "DHL" ინტერესებიდან გამომდინარე ექვემდებარება განხილვას ტვირთის გამგზავნი ქვეყნის არა განსაკუთრებული იურისდიქციის სასამართლოებში და რეგულირდება ამ ქვეყნის კანონმდებლობით, ამასთანავე ტვირთის გამგზავნი იღებს ვალდებულებას აღიაროს მითითებული იურისდიქცია, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

12.3 თუ "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ვერ შესძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს, რის შესახებაც იგი წინასწარ აცნობებს მეორე მხარეს.

13. გამოსაყენებელი სამართალი

13.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14. ხელშეკრულების ენა

14.1 ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.

15. ურთიერთობა მხარეებს შორის

15.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15.3 ყველა კომერციული, ტექნიკური და სხვა სახის ინფორმაცია ან მონაცემები მიღებული ერთი მხარის მიერ მეორე მხარისაგან მკაცრად კონფიდენციალურია. ორივე მხარე ვალდებულია მოეკიდოს მას, როგორც საკუთარს და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას ამ ვალდებულების დარღვევა.

15.4 "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ნიშნავენ პასუხისმგებელ თანამშრომლებს, რომლებიც კოორდინაციას უწევენ ყველა საკითხს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

16. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

16.1 "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი განხორციელდება ინსპექტირების ჯგუფის მიერ.

17. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობის დარღვევის შემთხვევაში

17.1 მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას ხელშეკრულების სრული და უპირობო შესრულებისათვის.

17.2 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 ხელშეკრულება შედის ძალაში მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის თარიღიდან.

18.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება: 31/12/2011წ.

ხელშეკრულების მოქმედების ვადებში ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

18.3 ურთიერთობა მხარეებს შორის წყდება მხარეების მიერ ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

19. განსაკუთრებული პირობები

19.1 ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

19.2 წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით მხარეები ადასტირებენ, რომ მათ გააჩნიათ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის უფლება-მოსილება, რათა უზრუნველყონ ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება.

19.3 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ითვალისწინებს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონს და არ შეიძლება ცდებოდეს მას.

ხელშეკრულება დგება ორ თანაბარძალოვან ეგზემპლიარად, საიდანაც ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა "მიმწოდებელს".

მხარეთა ხელმოწერა და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	*"მიმწოდებელი"*
ს.ს.ი.პ. „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"	შ.პ.ს. "ჯორჯიან ექსპრესი"
ქ. თბილისი, მ. ასათიანის ქ. №9	თბილისი, წერეთლის გამზ. №105
	ტელ: 696060; 699966
	ფაქსი: 340393
საიდენტიფიკაციო კოდი 211324351	საიდენტიფიკაციო კოდი 211369302
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა	საქართველოს ბანკი"-ს
	ცენტრალური ფილიალი
ა/ა 200122900 ბ/კ 220101222	ა/ა 009467177, ბ/კ 220101502
გენერალური დირექტორი	დირექტორი
_____ ნ. ავალიანი	_____ მ. პაპელაშვილი
ბ.ა.	ბ.ა.